№3

თებერვალი, 2023წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი



ბოლნისის მუნიციპალიტეტში, რამდენიმე პრიორიტეტული პროექტი განხორციელდება

გვ:2

„დაგეგმე შენი ბიუჯეტის ფარგლებში“ კინოთეატრის რესტავრაცია დაიწყება

გვ:2

ლეილა სილაგაძემ საჯარო სექტორში, 50 წლიანი მოღვაწეობა დაასრულა

გვ:3

ბოლნისის მუნიციპალიტეტში, რამდენიმე პრიორიტეტული პროექტი განხორციელდება

მიმდინარე წელს, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, რამდენიმე პრიორიტეტული პროექტის განხორციელებაა დაგეგმილი. ამ ეტაპზე გარდამავალი პროექტები დასრულების პირასაა, რამდენიმე მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ ობიექტზე კი სამუშაოები მიმდინარე ეტაპზეა. ამაზე ვრცლად, გაზეთ „ბოლნისთან", მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელმა კონსტანტინე კორძაძემ ისაუბრა.

„2023 წელს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაგეგმილია 10 ინფრასტრუქტურული პროექტი, გასული წლიდან 5 პროექტია გადმოსული (გარდამავალი ობიექტები), ასევე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო საპილოტე პროექტი „დაგეგმე შენი ბიუჯეტი"-თ შერჩეული 5

ინფრასტრუქტურული ობიექტი, რომლის ღირებულებაც, საერთო ჯამში, მილიონ ნახევარს შეადგენს, მოსახლეობის ხმათა უმრავლესობით გადაწყდა. აღნიშნულ ობიექტებზე საპროექტო სამუშაოები მიმდინარე ეტაპზეა და საპროექტო დოკუმენტაციის შეძენის შემდეგ, დაიწყება სამშენებლო სამუშაოები. რაც შეეხება გასული წლიდან გადმოსულ გარდამავალ ობიექტებს, მათი ჩამონათვალი ასეთია: სოფელ ქვეშში საპიკნიკეს მოწყობა, ქალაქში დაზიანებული ქვაფენილის აღდგენითი სამუშაოები, სოფელ გეტაში რიტუალების სახლის ფასადისა და ეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქალაქში საცხოვრებელი კორპუსებისა და შენობა-ნაგებობების დაზიანებული საკანალიზაციო

ქსელის (შიდა სარდაფებში) რეაბილიტაცია და მუნიციპალური გზების საექსპლოატაციო მომსახურება. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტი, ამ ეტაპზე, დასრულების პირასაა.

ასევე 8 800 000 (რვა მილიონ რვა ასი ათასი) ლარამდე გვაქვს გათვლილი 15 ინფრასტრუქტურულ ობიექტზე, რომელიც რეგიონული განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდება.

აქედან 8 პროექტი წინა წლიდანაა, ხოლო 7 ახალი პროექტის სატენდერო პროცედურები დასრულების ეტაპზეა, კერძოდ:

ბოლნისში, ცენტრალური ქუჩის გარე განათების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც ახალი სანათებით შეიცვლება.

ქ. ბოლნისში, სიონის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ცენტრალური ქუჩიდან პირველი საბავშვო ბაღისკენ მიმავალი ქუჩის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი, რომელიც ქვაფენილით მოპირკეთდება).

ასევე, მიმდინარეობს ქალაქში შიდა ქუჩების მოასფალტება-რეაბილიტაცია, რაც სავარაუდოდ ივლის-აგვისტოში დასრულდება.

აღსანიშნავია, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, ცენტრალური ბიუჯეტიდან, ბოლნისის მუნიციპალიტეტისთვის 714 000 (შვიდას თოთხმეტი ათასი) ლარია გამოყოფილი, რომელიც სოფლად მცხოვრები მოქალაქეების საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებას მოხმარდება.

„დაგეგმე შენი ბიუჯეტის ფარგლებში" კინოთეატრის რესტავრაცია დაიწყება

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, პროექტის „სამოქალაქო ბიუჯეტირება დაგეგმე შენი ბიუჯეტის ფარგლებში", ბოლნისის მუნიციპალიტეტში 2023 წელს 5 პროექტი განხორციელდება, რომელიც მოქალაქეებისგან ინიციატივების წარდგენას და მათ მიერვე, ამ იდეების ხმის მიცემას ითვალისწინებდა. წარმოდგენილი საპროექტო იდეებიდან, ბოლნისში, ხმების ყველაზე მეტი რაოდენობა მიიღო კინოთეატრის კონსერვაცია-რესტავრაციის იდეამ.

ბოლნისში 80-იან წლებში აშენებული კინოთეატრი, მიუხედავად ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფის არაერთი მცდელობისა, მაინც სავალალო მდგომარეობაშია. შენობა კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს საჭიროებს. დაზიანებული სახურავის გამო, შენობაში ჩაედინება წყალი და იტბორება, რის გამოც საყრდენი კედელიც და შიდა სივრცეც ზიანდება, შესაცვლელია კარ-ფანჯარა, სველი წერტილები და არა ერთი პრობლემაა, რომელიც კინოთეატრში დგას.

კინოთეატრში, აშენებიდან დღემდე, არა ერთი ორგანიზაცია ფუნქციონირებდა, თუმცა წლებია შენობა დატვირთვის გარეშეა და ხშირად ხდება ვანდალური ფაქტების მსხვერპლი. აღნიშნულ პროექტში გამარჯვების შედეგად, მოგვარდება ისეთი მწვავე პრობლემა, როგორიცაა შენობის გადახურვა და საყრდენი კედლის გამაგრება. სამუშაოების ჩატარების შემდეგ კი, როგორც კინოთეატრის გადარჩენის საინიციატივო ჯგუფის წევრი აცხადებს, გაწერილი აქვთ სამოქმედო გეგმა, რომელსაც ეტაპობრივად განახორციელებენ.

ლეილა სილაგაძემ საჯარო სექტორში, 50 წლიანი მოღვაწეობა დაასრულა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა, მოადგილესთან და მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსთან ერთად, საჯარო სამსახურში მრავალწლიანი მუშაობის შემდეგ, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს ლეილა სილაგაძეს, გაწეული მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა და პატივით გააცილა.

ლეილა სილაგაძე ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაში სხვადასხვა პოზიციაზე 50 წელი მუშაობდა და მასზე დაკისრებულ მოვალეობას მაღალი პასუხისმგებლობით ასრულებდა.

დავით შერაზადიშვილი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი:

-ქალბატონმა ლეილა სიალაგაძემ საჯარო სექტორში 50-წლიანი მოღვაწეობა დაასრულა. მას, როგორც ღვაწლმოსილ საჯარო მოხელეს, სამახსოვრო ჯილდო გადავეცი და მერიაში მუშაობის პერიოდში გამოჩენილი მაღალი პროფესიონალიზმისთვის მადლობა გადავუხადე. ქალბატონმა ლეილამ მერიის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების განვითარებასა და წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა და არაერთი საჯარო მოხელისთვის მისაბაძ მაგალითად იქცა, ამ დიდი ღვაწლისთვის მას კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას.

გაიცანით პატარა მოჭადრაკე - დაბა კაზრეთის N1 საჯარო სკოლის მესამე კლასის მოსწავლე

,,კატო 9 წლისაა, ძალიან თბილი და გონიერია, ვფიქრობ მისი აზროვნება ასაკს უსწრებს, ხშირად მისგან გონივრულ რჩევებსაც ვიღებ, არა როგორც შვილისგან, არამედ, როგორც მეგობრისგან. არის შემოქმედებითი, ხელოვნების კუთხითაც განვითარებული აქვს ბევრი უნარი, ხატავს, მღერის, ცეკვავს“ – ასე ახასიათებს კატოს დედა გვანცა ყალაიჩიშვილი.

,,კატოსთან მუშაობა სტიმულისა და შემოქმედებითი უნარების გაღვიძებას უწყობს ხელს. მასწავლებელი ბედნიერი ხარ, როცა კატოს ქკვიანი თვალებიდან ხედავ, როგორ იბადება ახალი აზრი და სურვილი გიჩნდება, თავადაც არ მოდუნდე. გასაოცარი ოსტატობით გამოჰყავს ქართული ასოები. ვფიქრობ, კატო კოდელაშვილი ბევრჯერ გაგვაოცებს!“- მაია მოსეშვილი, კატოს მასწავლებელი.

-თუ გახსოვს, რამდენი წლის იყავი, როცა პირველად ნახე ჭადრაკის დაფა და ფიგურები?

-4 წლის ვიყავი, როდესაც პირველად დავინახე და დავინტერესდი ჭადრაკით.

-ვინ გასწავლა ჭადრაკის თამაში?

-ჭადრაკის თამაში ბებომ მასწავლა. ბებო და პაპა ჭადრაკის მოყვარულები არიან და ყოველ საღამოს სახლში სამაგიდო თამაშები იმართება. შემატყვეს, რომ დავინტერესდი ჭადრაკით და მასწავლეს ფიგურების ამოცნობა, მოძრაობა. ადვილად რომ ავითვისე, უფრო დიდი ინტერესით შეუდგნენ ჩემს მეცადინეობას.

-როგორი იყო პირველი ემოცია, როცა მოწინააღმდეგეს ამარცხებდი?

-ეს ძალიან სასიამოვნო შეგრძნებაა, მითუმეტეს, თუ დამარცხებული ჩემზე ბევრად უფროსია, აი მაგალითად ბებო და პაპა ვეღარ მიგებენ.

-რომელი შეხვედრა გახსოვს ყველაზე მეტად?

-ჩემთვის გამორჩეული ბოლნისში, ნონა გაფრინდაშვილის

სახელობის საჭადრაკო სკოლაში გამართული სარვამარტო ტურნირი იყო ,როდესაც მეთერთმეტე კლასელი დავამარცხე და პირველი ადგილი დავიკავე.

-ამჯერად რამდენი მედალი გაქვს?

-5 ოქროს მედალი, 4 დიპლომი და სიგელები.

-რა დროს უთმობ ჭადრაკის თამაშს?

-ყოველ საღამოს გაკვეთილების მომზადების შემდეგ ჯერ პაპას და ბებოს ვხვდები, შემდეგ კი ტელეფონში სპეციალური აპლიკაცია მაქვს, სადაც ონლაინ ვხვდები ძლიერ მოთამაშეებს.

-თუ გყავს საყვარელი მოჭადრაკე და ვის დაასახელებდი?

-ნონა გაფრინდაშვილი. ვთვლი, რომ ის მსოფლიოს დღემდე აოცებს, ნეთფლიქსმა ფილმიც გადაიღო მასზე ,,ლაზიერის გამბიტი“

-გარდა ჭადრაკისა, კიდევ რომელი საგანი გიყვარს?

-ჩემი საყვარელი საგანია მათემატიკა.

-წიგნების კითხვა გიყვარს?

-დიახ, ძალიან. განსაკუთრებით ენციკლოპედიის.

-რომელია შენთვის საყვარელი წიგნი?

-საყვარელი წიგნი ,,მოკლე კატოა“, რადგან გმირს ჩემი სახელი ჰქვია.

– რა გსურს მომავალში?

-გავხდე ცნობილი მოჭადრაკე.

-რა გასწავლა მიღწეულმა წარმატებებმა?

-წარმატებამ მასწავლა თვითდაჯერებულობა, დროის სწორად გამოყენება, საკუთარ თავზე მუშაობა, რადგან, თუ გინდა იყო წარმატებული, ძალიან ბევრი უნდა იმუშაო... ბოლოს, მადლობა მინდა გადავუხადო კაზრეთის N1 საჯარო სკოლას, რომელიც ყოველთვის აღნიშნავს და განსაკუთრებული ზეიმით გვხვდება მე და ჩემს თანატოლებს, როცა წარმატებას ვაღწევთ. მადლობა ჩემს მასწავლებელს ხვიჩა მაღრაძეს.

კითხვა მომავალ რესპონდენტს: „სიყვარული ვერტიკალურია, თანაც ბრუნვადი“

იზო ნიავაძე ყოფილი მსახიობი და მოქმედი რეჟისორია. იგი 48 წელია ბოლნისის თეატრის სამსახურშია. მსახიობის ამპლუაში დაწყებული ურთიერთობა რეჟისორობით გაგრძელდა. ქალბატონი იზო 1979 წელს ბოლნისის კულტურის სახლისა და სახალხო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად აირჩიეს, 1980 წელს კი, მისი ძალისხმევით, საბავშვო თეატრს ჩაეყარა საფუძველი. ეს უკანასკნელი, დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს მისივე ხელმძღვანელობით და უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი მსახიობი და რეჟისორიც კი გამოიზარდა მის წიაღში.

ბოლნისის თეატრის 80 წლის იუბილეზე, იზო ნიავაძეს მედეა ჩახავას სახელობის ჯილდო გადაეცა, ასევე მიღებული აქვს გრან-პრი ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის, ესტონეთში ჩატარებულ საერთაშორისო ფესტივალზე.

-მოგესალმებით, თქვენი წვლილი განუზომლად დიდია, ქართული თეატრის, განსაკუთრებით კი, ბოლნისის თეატრის ისტორიაში, გვიამბეთ, როგორ დაიწყო თქვენი ურთიერთობა ?

-ონში გავიზარდე, თეატრი ამ ქალაქის სავიზიტო ბარათი იყო. უბრალოდ, ვერ წარმომიდგენია ონის სინამდვილეში ვინმე, ვისაც გიგა ჯაფარიძის თეატრში მოხვედრა და თამაში ოცნებად არ ჰქონოდა. მე კი ამ მხრივ, იღბლიანი აღმოვჩნდი, ხუთი წლის ასაკში, საბავშვო ბაღში, ვიღაც მადლიანმა საახალწლო – სადღესასწაულო ღონისძიებაში მონაწილეობისთვის ამარჩია. მაშინ ყველაფერს მექანიკურად, მორჩილად ვასრულებდი. მომრთეს–მომკაზმეს, სულ ორი წინადადება მასწავლეს, შოკოლადებით სავსე თეფში მომცეს, მითხრეს, რომ ფარდის წინ უნდა გავსულიყავი, მისასალმებელი ტექსტი ხმამაღლა და გარკვევით მეთქვა და დარბაზში შოკოლადები გადამეყარა, რაც შეიძლება შორს, მაყურებლის მიმართულებით. ეს იყო და ეს, თუმცა, ამ პატარა გამოსვლას, ისეთი ტაში მოჰყვა და იმდენად სასიამოვნო შეგრძნება იყო, რომ უყოყმანოდ ვთანხმდებოდი ნებისმიერ შეთავაზებას, რაც სცენას დამაკავშირებდა. მას შემდეგ სცენის გარეშე არასოდეს ვყოფილვარ - ვმღეროდი, ვცეკვავდი, ლექსებს ვკითხულობდი და ვთამაშობდი თეატრში.... თეატრი მსახიობისა და რეჟისორის გარეშე ხომ არ არსებობს..

-გაიხსენეთ მსახიობის ამპლუაში თქვენი თავი, როგორი იყო სცენაზე ქალბატონი იზო ?

-ძალიან მიყვარდა მსახიობის ამპლუაში ყოფნა, მუშაობის პროცესი, ის პატარ-პატარა „ხულიგნობები“, რომლებიც როლის გამოძერწვაში მეხმარებოდა, ყოველ თამაშზე შენი გმირის თავიდან აღმოჩენა, დიდი სიამოვნებაა.

-როგორც ამბობენ, სცენის მტვერი სულ სხვაა, თქვენ რომელს ამჯობინებთ, სამსახიობო ხელოვნებას თუ სცენის მიღმა, რეჟისორის ამპლუაში გულშემატკივრობას?

-რაც შეეხება რეჟისორს, ის „დიქტატორია“ პრემიერამდე, მაგრამ ფარდის გახსნიდან დახურვამდე, ურთულესია მისი მდგომარეობა. რეჟისორის ნააზრევი იმ გუნდის ხელშია, რომელიც სცენაზე და კულისებში დგას. განაჩენივით ელოდები შედეგს.... იშვიათად მინახავს შედეგით კმაყოფილი რეჟისორი (ეს ჩემი პირადი აზრია). სპექტაკლის დაბადება დიდი განსაცდელი და დიდი ზეიმია....

-როგორ აღმოჩნდით ბოლნისში და საიდან გაჩნდა იდეა, საბავშვო თეატრის დაარსების ?

-1975 წლის შემოდგომაზე კაზრეთთან მომიწია ურთიერთობა, ონიდან წამოსულს, „სცენის შიმშილი“ მაწუხებდა. დასახლებაში არსებულ კლუბში საინტერესო ადამიანები იყვნენ თავმოყრილი და მათთან ერთად, თეატრის ჩამოყალიბების სურვილი გამიჩნდა, თუმცა, მოვლენები აქაც ისე განვითარდა, რომ .....ერთ მშვენიერ დღეს, ბოლნისის თეატრის რეჟისორი მიხეილ გაბიძაშვილი მოვიდა ჩემს გასაცნობად, მითხრა, იცის ვინ ვარ, რომ მარჯანიშვილის თეატრში რესპუბლიკური ფესტივალის ფარგლებში გამართულ სპექტაკლში მნახა, ძალიან დიდ პატივს სცემს გიგა ჯაფარიძეს, რომლის სკოლაც მაქვს გავლილი და პირდაპირ შემომთავაზა, მეთამაშა სპექტაკლში, რომელიც უკვე დადგმული იყო, მაგრამ მთავარი როლის შემსრულებლის წასვლის (გათხოვების) გამო , წარმოდგენები ვეღარ იდგმებოდა. მედავთანხმდი. ეს იყო ალ.ჩხაიძის „ხიდი“, გამომძიებელი მარიკა ჩოდრიშვილი... იღბლიანი გამოდგა ჩემი პირველი შეხვედრა ბოლნისის თეატრთან და მის მაყურებელთან, რაც ორმოცდარვა წელია, სხვადასხვა ამპლუაში გრძელდება.

-ქალბატონო იზო, მანამდე სხვა საბავშვო თეატრი არსებობდა, თუ თქვენ ჩაუყარეთ საფუძველი თეატრის ამ კუთხით განვითარებას ბოლნისში?

-1979 წლის სექტემბერში დავინიშნე ბოლნისის კულტურის სახლისა და სახალხო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად. სხვადასხვა მიზეზთა გამო, ეს პერიოდი ურთულესი იყო სახალხო თეატრის ისტორიაში. ძველი დასიდან, რამდენიმე ახალგაზრდისა და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ვახტანგ მიხელიძის გარდა, აღარავინ შემორჩა თეატრს. დავიწყეთ დასის გაფართოებაზე ფიქრი. აქვე გამიჩნდა ბავშვთა თეატრალური სტუდიის გახსნის იდეა, არანაირი წინააღმდეგობა არ შემხვედრია, ყველამ ნდობა გამომიცხადა. მაშინ ოცდაორი წლის ვიყავი, ალბათ გამოუცდელობამ, ახალგაზრდულმა ასაკმა მომცა სითამამე მე–9 და მე–10 კლასის მოსწავლეებთან თეატრი და მისი წიაღი ისე დამეხატა, რომ მათ სურვილი გასჩენოდათ თეატრალური სტუდიის წევრები გამხდარიყვნენ. ეს იყო ნაყოფიერი დასაწყისი, თხუთმეტმა არაჩვეულებრივმა ახალგაზრდამ ნდობა გამომიცხადა და დავიწყეთ - „უხვად ვაფრქვევდი“, რაც ვიცოდი (ონში თეატრალური სტუდია დავამთავრე) და მათთან ერთად ვიზრდებოდი შემოქმედებითად. ძალიან მეხმარებოდა ის ფაქტი, რომ სტუდია სახალხო თეატრთან არსებული იყო, ამიტომ გვქონდა ყველაფერი , რაც განვითარებისთვის გვჭირდებოდა. საბავშვო თეატრს საფუძველი ჩაეყარა 1980 წელს, მანამდე ბოლნისში ასეთი თეატრი არ არსებობდა.

-,,საზღაპრეთი 2“ ასე ეწოდება საბავშვო თეატრს, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, რა სიმბოლური დატვირთვის მატარებელია ეს სახელი?

-„საზღაპრეთი–2“ თეატრს ეწოდა 2004 წლიდან , „ნათლობა“ შედგა ბათუმში ფესტივალზე, სადაც ჩემი ორი თეატრი მონაწილეობდა, თბილისის ბავშვთა და მოზარდთა თეატრი „საზღაპრეთი“ და ბოლნისის საბავშვო თეატრი, რაკი ორ თეატრს ერთი რეჟისორი ჰყავდა, დაიბადა იდეა, მეორე დასს „საზღაპრეთი–2“ დარქმეოდა, ასე მოხდა სახელის გადათამაშება.

-თუ შეგიძლიათ გაიხსენოთ პირველი სპექტაკლი, რომლითაც ბოლნისის საზოგადოებამ გაგიცნოთ და სპექტაკლი, რომელიც არასდროს დაგავიწყდებათ?

-1988 წელს ლატვიაში, ქ.რიგაში, გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე საქართველოდან ბოლნისის საბავშვო თეატრის სპექტაკლი „სალამურა“ იქნა წარდგენილი და დიდი წარმატება ხვდა წილად. ფესტივალიდან დაბრუნებულ დასს, საქართველოს ტელევიზიის პირველმა არხმა ვრცელი გადაცემა მიუძღვნა, ხოლო სპექტაკლი „სალამურა“ ორჯერ იქნა გაშვებული ეთერში. ეს იყო პირველი ხელშესახები წარმატება საბავშვო თეატრის ცხოვრებაში.

-წლებია ამ საქმეს ემსახურებით, როგორია ბავშვებთან ურთიერთობა, არის თუ არა სხვაობა თაობებს შორის ?

-ყოველ წელს მიმდინარეობს თეატრთან არსებული სტუდიის შევსება, ვიღაც ამთავრებს და მიდის, ვიღაც მოდის და პირველ ნაბიჯებს დგამს... ეს ბუნებრივი პროცესია. მუშაობის სტილიც შესაბამისად იცვლება. ხუთი წლის წინ, რაც პრიორიტეტად მეჩვენებოდა, დღეს არაფერში

მარგია, სხვა რამე ითხოვს ყურადღებას, სწორედ ამას იწვევს თაობათა ცვლა. „საზღაპრეთი–2“–ს, არსებობის მანძილზე, ჰქონია აღმასვლა და პირიქით, მე მაინც ყველაზე დიდ მიღწევად ვთვლი იმ რეჟისორებს და მსახიობებს, რომლებიც ამ თეატრში გაიზარდნენ და ყველაზე მთავარი – ისინი ბოლნისის სახალხო თეატრის დასში იმკვიდრებენ ადგილს.

-ქალბატონო იზო, გვესაუბრეთ ,,საზღაპრეთი 2-ის“ მიღწევებსა და სამომავლო გეგმებზე.

-თეატრი ამჟამად მუშაობს სპექტაკლზე „ოცნება და სინამდვილე“ (თამაზ ქილაძის „თავფარავნელის ბალადის“ მიხედვით), გვაქვს მოწვევა რამდენიმე საერთაშორისო ფესტივალიდან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე უცხოეთში. იმედი მაქვს, წლევანდელი თეატრალური სეზონი ნაყოფიერი იქნება.

მადლობა, ყურადღება რომ შეაჩერე ჩვენს თეატრზე, კარგად მახსოვს ის პერიოდი, როდესაც შენც თამაშობდი ერთ–ერთ სპექტაკლში.

-მადლობა თქვენ, ქალბატონო იზო, გისურვებთ შემოქმედებით წინსვლას.

მარიამ ონიანი

ეკა ხორბალაძე Schwarzman-ის პირველი ქართველი სტიპენდიანტია

უსაზღვროა ახალგაზრდების შესაძლებლობა, მათ აქვთ ძალა შეცვალონ, გააძლიერონ და განავითარონ თავიანთი ქვეყანა, აქვთ უნარი ახალი ხედვებით, მიღწევებითა და ინოვაციებით, დაგეგმონ მომავალი უკეთესობისკენ. სწორედ ასეთი ახალგაზრდების თაობას მიეკუთვნება, პირველი ქართველი Schwarzman-ის სტიპენდიანტი, ბოლნისელი ეკა ხორბალაძე.

ეკა ამჟამად იელის უნივერსიტეტის (აშშ) მკვლევარია, ამასთანავე ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი. იგი იელის უნივერსიტეტში, უკვე მეორე წელია ქვეყნებს შორის საინტეგრაციო პროცესებს იკვლევს, ამ დროისთვის ეკა აქცენტს აშშ-ს ინდო-წყნარი ოკეანის სტრატეგიაზე აკეთებს, რაც მისი სადისერტაციო შრომის ნაწილია.

-რამდენიმე ხნის წინ გავხდი პირველი ქართველი, ვინც შვარცმანის პრესტიჟული სტიპენდია მოიპოვა, საქართველო მხოლოდ წელს შეემატა ამ ქვეყნების სიას. „Schwarzman-ის პროგრამა არის პირველი სტიპენდია, რომელიც შეიქმნა 21-ე საუკუნის გეოპოლიტიკურ ლანდშაფტზე რეაგირებისთვის“. შვარცმანის სტიპენდია არის სრულად დაფინანსებადი, სამაგისტრო პროგრამა საერთაშორისო ურთიერთობებისა და ლიდერობაში ცინგხუას უნივერსიტეტში, პეკინში, რომელიც მიზნად ისახავს, გააერთიანოს პოტენციური მომავალი გლობალური ლიდერები, ეს მსოფლიოში, ერთ-ერთი, ყველაზე კონკურენტუნარიანი და პრესტიჟული სამაგისტრო პროგრამაა, რომლის მიღების მაჩვენებელი 3% ნაკლებია (შედარებისთვის ჰარვარდში მიღების მაჩვენებელი დაახლოებით 5%). ამგვარად, ორი წლის სწავლისა და კვლევის შემდეგ, იელის უნივერსიტეტში Ph.D. პროგრამის დასრულების შემდეგ, ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეორე მაგისტრის ხარისხს მივიღებ, აზიის ყველაზე მაღალრეიტინგულ ცინგხუას უნივერსიტეტში (ჩინეთი).

ბოლნისელი ეკა ხორბალაძე, მსოფლიოს მასშტაბით, 3000-მდე აპლიკანტიდან, 151 სტიპენდიანტს შორის შეირჩა, სადაც მიღების მაჩვენებელი 3%-ზე ნაკლებია.

-როდესაც გავიგე Schwarzman-ის სტიპენდიის მოპოვების შესახებ, ძალიან გახარებული ვიყავი. ეს პროგრამა ჩემი განვითარებისთვის, როგორც თეორიული ცოდნის შეძენის, ასევე კარიერული ზრდის მხრივ დიდ გავლენას მოახდენს ჩემი თვითრეალიზებისთვის, მაგრამ ის ფაქტი ძალიან მახარებს, რომ 2023 წლიდან საქართველო შეემატება პროგრამას და Schwarzman Schola Alumni Network ჩვენთანაც გავრცელდება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამ პროგრამის კურსდამთავრებულები დღეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით იკავებენ მაღალ პოზიციებს, ეს სახელმწიფო აპარატი იქნება, ბანკინგი, კონსალტინგი, ბიზნეს სფერო თუ სხვა.

სტიპენდიის შესახებ 2022 წლის ზაფხულში გაიგო. აპლიკაციის შესავსებად ცოტა დრო ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ ყველა ძალა მოსინჯა და ბედი სცადა ახალი გამოწვევებისთვის.

-ბეგრაუნდი მაძლევდა იმის საშუალებას, ბედი მეცადა. პირველი ეტაპი მოიცავდა ონლაინ აპლიკაციის გაგზავნას საჭირო საბუთებთან და სარეკომენდაციო წერილებთან ერთად. მეორე ეტაპი - გასაუბრება იყო. ძალიან ვღელავდი, რადგან 6 კაცისგან შემდგარი კომისიის წინ მიწევდა საუბარი, მათ რიგში კი შეიძლებოდა აღმოჩენილიყო ჰედრი კისინჯერი, კონდოლიზა რაისი, ტონი ბლერი, კევინ რადი ან სხვა, ძალიან ცნობილი საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტები. მათ შორის შესაძლოა ყოფილიყო თავად სტეფან შვარცმანი, რომელიც თვლის, რომ ნებისმიერ სექტორში, მომავალი ლიდერების წარმატება მთელს მსოფლიოში, დამოკიდებულია ჩინეთის როლის გააზრებაზე გლობალურ ტენდენციებზე და სწორედ ამგვარად ეხმარება პერსპექტიულ ახალგაზრდებს.

ეკამ სცადა და მაქსიმუმი გააკეთა, რათა შედეგი სასურველი ყოფილიყო, როგორც თავად აღნიშნავს, ელოდა თუ არა ასეთ შედეგს, უჭირს ამაზე პასუხის გაცემა, რადგან საკუთარ თავზე ძალიან ბევრს მუშაობდა - „ადამიანის შესაძლებლობები, როგორც ცნობილია, ამოუწურავია, ამიტომ ჩემი თავისგან უფრო და უფრო მეტს ვითხოვ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მიღწეულ შედეგში დამეხმარა უნივერსიტეტებში შეძენილი ცოდნა, სხვადასხვა გარე საუნივერსიტეტო პროექტებში მონაწილეობა, კვლევითი საქმიანობა და უცხო ენების ცოდნა“.

ეკამ 11 წლის წინ დატოვა საქართველო, თუმცა მანამდე იყო ბოლნისის 1 საჯარო სკოლის წარმატებული მოსწავლე, ცეკვავდა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ბოლნელში“, დადიოდა მუსიკალურ სკოლაში და, როგორც თავად აღნიშნავს, ბოლნისმა, დიდი გავლენა მოახდინა მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში და იმ უნარ-ჩვევების განვითარებაში, რაც ყოველთვის ეხმარება და გზას უკვლევს ახალი მწვერვალებისკენ.

როგორც ყველა ქართველის ოცნება, ეკას ოცნებაც გაერთიანებული საქართველოა.

ვინატრებდი ვიხილო გაერთიანებული საქართველო, სადაც ყოველი მოქალაქე, პატარით დაწყებული და ხანდაზმულით დამთავრებული, თავს მაქსიმალურად დაცულად იგრძნოს, ჩამოყალიბდეს სტაბილური შიდა-პოლიტიკური კლიმატი და აქედან გამომდინარე, აწონილ-დაწონილი შიდა განვითარების კურსი, კონკრეტული და რეალური პროგრამა; - საგარეო პოლიტიკური სტრატეგია დაეყრდნოს, პირველ რიგში, ქვეყნის ნაციონალურ

ინტერესებს; ჩვენ ყველა წინაპირობა გვაქვს იმისთვის, რომ არამარტო კავკასიის რეგიონის, არამედ აღმოსავლეთ ევროპის და წინა აზიის ერთ-ერთი წამყვანი და ყველაზე განვითარებული სახელმწიფო გავხდეთ, რაშიც განსაკუთრებით ხელს გვიწყობს გეოპოლიტური ადგილმდებარეობა და ბუნებრივი ლანდშაფტი; - ქვეყნის განვითარების დონემ ისეთს მიაღწიოს, რომ შვეიცარიაში მაგალითად საქართველო მოჰყავდეთ, აშშ-ში ჩასულ ქართველს კი არ უწევდეს ახსნა, რომ Georgia, საიდანაც ის არის, აშშ-ს შტატი, ან რუსეთის ნაწილი არ არის.

რა უნდა ვიცოდეთ ბოტულიზმის შესახებ!

რა დაავადებაა ბოტულიზმი?

- ბოტულიზმი მეტად მძიმე ინფექციური დაავადებაა, რომელიც უნვითარდება ადამიანს იმ საკვები პროდუქტის (კონსერვების, ძეხვის, შებოლილი თევზის) მიღების შედეგად, რომელიც შეიცავს ბაქტერიულ ტოქსინთა შორის ყველაზე ძლიერ ეგზოტოქსინს (ბოტულოტოქსინი).

რა ნიშნები ახასიათებს და რამდენად საშიშია იგი ადამიანისთვის?

-ბოტულიზმით დაავადების დროს დასაწყისშივე ყურადღებას იპყრობს დარღვევები მხედველობის მხრივ..

- ავადმყოფი ბუნდოვნად და გაორებულად ხედავს, თითქოს ბურუსშია. კითხვისას ასოები იფანტება. თვალების მოძრაობა შეზღუდულია ან შეუძლებელი.

- მხედველობის მოშლასთან ერთად ვლინდება ყლაპვის და მეტყველების მოშლა.

- ავადმყოფი საკვებს ვერ ყლაპავს, უჭირს ენის მოძრაობა. უჭირს ლაპარაკი, გაურკვევლად ლუღლუღებს. ავადმყოფს აქვს თავბრუსხვევა, კუნთების სისუსტე, მუცლის შებერილობა, პირის სიმშრალე.

- დაავადების დროული და სათანადო მკურნალობის გარეშე მდგომარეობა ძალიან მძიმდება და ავადმყოფი იღუპება სურთქვისა და გულის გაჩერებით..

როგორ ხდება საკვები პროდუქტის დაბინძურება ბოტულიზმის მიკრობით?

- ბოტულიზმის გამომწვევი ბინადრობს მსხვილ და წვრილფეხა რქოსანი საქონლის, ღორის, ცხვრის, ფრინველების ნაწლავებში. გამოიყოფა განავალთან ერთად და ხვდება ნიადაგში, სადაც იგი გარდაიქმნება გარემოში მეტად გამძლე ფორმად (სპორად).

როგორ ხდება ბოტულიზმის გამომწვევის მოხვედრა კონსერვში?

- ბოტულიზმის გამომწვევით დაბინძურებული ნიადაგით ინფიცირდება საკვები პროდუქტები: ბოსტნეული, ხილი, სოკო, მარცვლეული, წყალი და სხვა. საკვებ პროდუქტებში გამომწვევი მრავლდება და გამოიმუშავებს ძლიერ ეგზოტოქსინს, მხოლოდ უჟანგბადო პირობებში. ამიტომ ბოტულიზმით ადამიანი ავადდება კონსერვების, ძეხვის, შაშხის, შებოლილი, დამარილებული თევზის ქამის შედეგად, თუ ეს პროდუქტები დაბინძურებული იყო ცხოველთა ნაწლავების შიგთავსით ან გამომწვევის შემცველი ნიადაგით და მათი დამუშავებისას არ იყო დაცული შესაბამისი სანიტარული წესები. დაინფიცირებული პროდუქტი იცვლის ფერს, იძენს თავისებურ სუნს, კონსერვები აირების დაგროვების შედეგად ამოიბურცება (ბომბაჟი). ამობურცული კონსერვის, შეცვლილი სუნისა და ფერის პროდუქტის საკვებად გამოყენება არ შეიძლება.

როგორ შეიძლება ავიცილოთ ბოტულიზმი თავიდან?

- ბოტულიზმის თავიდან აცილების ძირითადი ღონისძიება არის ის, რომ საკვები პროდუქტები დაკონსერვების წინ ძალიან კარგად უნდა გაირეცხოს, რათა სრულიად განთავისუფლდეს მიწისა და / ან ნაწლავების შიგთავსისაგან, რომელიც შეიცავს ბოტულიზმის გამომწვევს. საიმედო მეთოდად ითვლება სათანადო სტერილიზაცია მაღალი წნევისა და ტემპერატურის (120) პირობებში, რომლის მიღწევა შესაძლებელია ქარხნული წესით კონსერვების დამზადებისას. ბინის პირობებში ჩატარებული სტერილიზაციით კი თითქმის შეუძლებელია მიღწეულ იქნას გამომწვევის გამძლე ფორმების სრული (სპორების) მოსპობა. ამიტომ ბინის პირობებში ზუსტად უნდა იქნას დაცული პროდუქტის დამუშავების სათანადო წესები (პროდუქტი უნდა გაირეცხოს ზედმიწევნით კარგად). მოხმარების წინ დაკონსერვებული პროდუქტი თერმულად უნდა დამუშავდეს 20-30 წუთის განმავლობაში.

ბოლო პერიოდში ბოტულიზმით დაავადების მიზეზი უმეტესად შინ დამზადებული კონსერვებია.

_ ბოტულიზმზე საეჭვო ყველა ავადმყოფი დაუყოვნებლივ უნდა მოთავსდეს საავადმყოფოში და ჩაუტარდეს სათანადო მკურნალობა. ხოლო იმ პირებს, რომელთაც ავადმყოფთან ერთად მიიღეს საეჭვო ინფიცირებული პროდუქტი უკეთებენ ბოტულიზმის საწინააღმდეგო შრატს.

გახსოვდეთ!!!

არ უნდა შეიძინოთ კუსტარულად დამზადებული შებოლილი თევზი(სათალი) შაშხი, ძეხვი და კონსერვები;

კონსერვების შინაურ პირობებში დამზადებისას შეარჩიეთ ახალი პროდუქტები და გულმოდგინედ გარეცხეთ, თავი შეიკავეთ ისეთი პროდუქტების ჰერმეტულად დაკონსერვებისგან, რომელთა გარეცხვის დროს ნიადაგის უმცირესი ნაწილაკების მოხვედრის ალბათობა დიდია. მუავე კიტრი, პომიდორი ჯობს დავამზადოთ ტრადიციულად, მოხუფვის გარეშე;

საკვები პროდუქტები, მათ შორის კონსერვები შეინახეთ ცივ ადგილას;

არ უნდა იხმაროთ საკვებად შებერილი(„ბომბაჟიანი“) კონსერვები. დაკონსერვებული პროდუქტები მოხმარების წინ აუცილებლად უნდა აადუღოთ ან კარგად შეწვათ არანაკლებ 15 წუთისა.

ბოტულიზმი არის სასწრაფო შეტყობინებას დაქვემდებარებული განსაკუთრებით საშიში დაავადება, რომლის შემთხვევებიც ფიქსირდება ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ბოლნისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ თითოეულ შემთხვევაზე მყარდება აქტიური ეპიდზედამხედველობა ინფექციის წყაროს დადგენის მიზნით. აღსანიშნავია, რომ აღრიცხული შემთხვევები დაკავშირებულია სახლის პირობებში დამზადებული კონსერვის მიღებასთან.

გისურვებთ ჯანმრთელობას!

აიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“

ირინა მიქავა, ქვემო ქართლის რეგიონში სამოქალაქო განათლების წლის წარმატებულ მასწავლებლად დასახელდა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის, საქართველოს საპატრიარქოს იოანე ბოლნელის სასულიერო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი ირინა მიქავა, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა წლიურ კონფერენცია-გამოფენაზე, ქვემო ქართლის რეგიონში წლის წარმატებულ სამოქალაქო განათლების მასწავლებლად დასახელდა.

ის თბილისიდან კვირაში ორჯერ ბოლნისში იმ მიზნით ჩადის, რომ საკუთარი ცოდნა და შესაძლებლობები ახალგაზრდებს გაუზიაროს. ერთი წლის განმავლობაში მან 75-მდე სხვადასხვა სახის აქტივობა და პროექტი განახორციელა.

,,ერთი წლის უკან ა(ა)იპ იოანე ბოლნელის სახელობის სკოლაში დავაფუძნე სამოქალაქო განათლების კლუბი ,,ცვლილებების პიკი/Peak of changes" როგორც სამოქალაქო განათლების მოწვეულმა მასწავლებელმა. დაფუძნების დღიდან,

ვემსახურებით საერთო ღირებულებებს და იდეას - ვიყოთ ცვლილება, როგორც სკოლაში, ასევე თემში არაფორმალური აქტივობების გზით. 75-მდე შეხვედრა, აქტივობა ამბობს იმას, რაც ჩვენ შევძელით. წარმატებით განვახორციელეთ პროექტები ადამიანის უფლებების, სამოქალაქო აქტივიზმის, მოხალისეობის, ქალთა მიმართ ძალადობის, ბავშვთა უფლებების, ტოლერანტობის, თანასწორობის, ევროკავშირისა და ნატოს შესახებ. დავიწყეთ მნიშვნელოვანი პროექტი ,,დიპლომატიის სკოლა 2023 და ჩავატარეთ შეხვედრა სამი ქვეყნის ელჩთან, ასევე ველოდებით იტალიის, ნიდერლანდების, ბრაზილიისა და ბულგარეთის ელჩებს. ყველა პროექტი დაფუძნებულია ახალგაზრდების მონაწილეობაზე, სადაც ისინი ქმნიან შესაძლებლობებს საკუთარი თავისთვის და სხვებისთვის, ვმუშაობთ ახალგაზრდებთან ერთად და ახალგაზრდებისთვის. ამას ემსახურება სწორედ ევროკავშირის პროგრამის EU4Youth მხარდაჭერილი ბოლნისის ახალგაზრდული სივრცის შექმნა, ადგილობრივი და საერთაშორისო დონორებით მხარდაჭერილი ახალგაზრდული პროექტები. მადლობა თითოეულ მოსწავლეს, მხარდამჭერს, სკოლის ადმინისტრაციას თანამშრომლობისთვის და ერთმანეთის გაძლიერებისთვის''-აღნიშნა ირინა მიქავამ

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა წლიური კონფერენცია-გამოფენა იმართება USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში. პროგრამა ხორციელდება ორგანიზაცია PH International-ის მიერ, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით.

ღონისძიების მსვლელობისას გამოვლინდნენ წლის საუკეთესო სამოქალაქო განათლების მასწავლებლები, წლის წარმატებული პედაგოგები და სასკოლო სამოქალაქო კლუბების საუკეთესო მეურვეები.

გამარჯვებულებს ჯილდოები გადასცეს აშშ-ის ელჩმა საქართველოში კელი დეგნანმა და სხვა მოწვეულმა სტუმრებმა.

Bolnisi Bələdiyyəsində bir sıra prioritet layihələr həyata keçiriləcək

Bu il Bolnisi bələdiyyəsində bir neçə prioritet layihələrin həyata keçirilməsi nəzərdə tutulub. Bu mərhələdə keçid layihələri başa çatmaq ərəfəsindədir və bir sıra mühüm infrastruktur obyektlərində işlər aparılır. Bu barədə "Qazet Bolnisi"yə Bələdiyyə Meriyasının Məkan Təşkili və İnfrastruktur Xidmətinin rəhbəri Konstantin Kordzadze ətraflı danışıb. "2023-cü ildə yerli büdcədən 10 infrastruktur layihəsi nəzərdə tutulub, 5 layihə ötən ildən icra olunub (keçid obyektləri), "Büdcəni planlaşdır" pilot layihəsi ilə seçilən 5 infrastruktur obyektini də xüsusi qeyd etmək istərdim. ümumi dəyəri yarım milyon olan

əhalinin səsinə əsasən çoxluğu ilə qərara alınıb. Qeyd olunan obyektlər üzrə layihələndirmə işləri hazırkı mərhələdədir və layihə sənədləri alındıqdan sonra tikinti işlərinə başlanılacaq. Ötən ildən köçürülən keçid obyektlərinə gəlincə, onların siyahısı belədir: Dzveli kəndində piknik yerinin təşkili, şəhərdə zədələnmiş səki örtüyünün bərpası, Geta kəndində xeyir-şər evinin fasadının və həyətinin abadlaşdırılması, şəhərdəki yaşayış evlərinin, binalarının zədələnmiş kanalizasiya şəbəkəsinin və (zirzəmilərdə) bələdiyyə yollarının istismar xidmətləri bərpası. Yuxarıda qeyd olunan obyektlərin hamısı hazırda tamamlanmaq üzrədir. Həmçinin, regional inkişaf fondunun və yerli büdcənin birgə maliyyələşdirilməsi ilə həyata keçiriləcək 15 infrastruktur obyekti üçün 8 milyon 800 min (səkkiz milyon səkkiz yüz min) lariyə qədər vəsait ayırmışıq. Bunlardan 8-i əvvəlki ilin, 7-si isə yeni layihə üzrə tender prosedurları son mərhələdədir, xüsusilə: Bolnisdə mərkəzi küçənin xarici işıqlandırılması davam edir, yeni işıqlar ilə əvəz olunacaq. Bolnisi şəhərinin Sion küçəsinin abadlaşdırılması (mərkəzi küçədən birinci uşaq bağçasına gedən küçənin abadlaşdırılmasının ikinci mərhələsi, asfalt döşənəcək). İyul-avqust aylarında başa çatdırılması nəzərdə tutulan şəhərin daxili küçələrinin asfaltlanması və abadlaşdırılması da davam etdirilir. Qeyd edək ki, "Kəndlərə Dəstək Proqramı" çərçivəsində Bolnisi bələdiyyəsinə mərkəzi büdcədən 714 000 (yeddi yüz on dörd min) lari ayrılıb və bu vəsait kənd yerlərində yaşayan vətəndaşların yaşayış şəraitinin yaxşılaşdırılmasına yönəldiləcək.

Bələdiyyə şurasının üzvlərinin əhali ilə görüşü

Bolnisi bələdiyyə şurasının üzvləri dzveıi kveshi, Bolnisi kəndi və Kvemo Bolnisi kəndlərində yaşayan əhali ilə görüş keçirib. İclasda Bolnisi Bələdiyyə Şurasının sədri Tamaz Jorjoliani və "Gürcü arzusu – Demokratik Gürcüstan" fraksiyasının sədri Davit Caparidze iştirak ediblər. Sual-cavab rejimində keçirilən görüşdə əhalinin ehtiyacları işıqlandırılıb. Dzveli kvesh kəndinin sakinləri mövcud xeyir-şər evinin genişləndirilməsini və təmirini tələb edirlər. Bolnis kəndində bir neçə ehtiyac müəyyən edilib. Suvarma və içməli su problemi. Bununla bağlı müqavilə bağlanıb və layihə işləri yekunlaşıb, problem yaxın vaxtlarda həllini tapacaq. Yaşayış evlərinin dam örtüyü məsələsi. Kvemo Bolnis əhalisi bir neçə məsələni həll etməlidir: Kənddə drenaj kanalının təşkili. Kəndə giriş yolunun asfaltlanması. Kənddəki xeyir-şər evinin inventarlaşdırılması. Kənddə uşaq bağçasına ehtiyac var, tikintisi hökumətin dəstəyi ilə nəzərdə tutulub. Bolnisi Bələdiyyə Şurasının üzvləri sakinlərlə

görüşlərini, onların ehtiyacları ilə yerindəcə tanış olmaqda davam edirlər ki, bu da bələdiyyə meriyası ilə müzakirə olunacaq ki, yerli əhalinin bütün ehtiyacları vaxtında həll olunsun.

Kənd təsərrüfatı sahələrinin yandırılmasına görə yeni inzibati cərimə qanunu

Hökumətin iclasında Nazirlər Kabinetinin üzvləri kənd təsərrüfatı sahələrinin yandırılmasına görə ciddi cərimə tətbiq ediləcəyi qanun layihəsini müzakirə ediblər. Qanun layihəsinə əsasən, torpaq sahəsində taxıl bitkilərinin (onların üstü də daxil olmaqla) yandırılmasına görə yeni inzibati cərimə müəyyən edilir - fiziki şəxslər hər hektara üçün 1000 lari, hüquqi şəxs üçün 2000 lari. Qanun layihəsi məhsul yığımından sonra torpağa və ətraf mühitə böyük ziyan vuran kənd təsərrüfatı sahələrinin yandırılması kimi zərərli təcrübənin geniş yayıldığı üçün hazırlanıb. Bundan əlavə, yanğının yaxınlıqdakı sahələrə, əkin sahələrinə, meşələrə və ya yaşayış məntəqələrinə keçmə ehtimalı yüksəkdir. Hökumətin iclasında "Gürcüstanın bələdiyyələrində (özünüidarə edən şəhərlər istisna olmaqla) yaşıl bitkilərin seçilməsi, əkilməsi və onlara qulluq şərtləri haqqında" fərman layihəsi qəbul edilib. Yeni layihəyə əsasən, şəhər mühitində əhalinin sağlamlığının, rifahının və həyat keyfiyyətinin yaxşılaşdırılması kömək edəcək rekreasiya məkanları yaradılacaq. Bu layihənin məqsədi bələdiyyələrdə yaşıl bitkilərin seçilməsi, əkilməsi və saxlanılması şərtləri nəzərə alınmaqla şəhər ərazilərinin vahid və düzgün yaşıllaşdırılması sisteminin tətbiqinə kömək etməkdir.

სიახლეები

არემჯი

რიჩ მეტალს გრუპი

არემჯის სტიპენდიატები 2023

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არემჯის სასტიპენდიო პროგრამის რჩეული სტუდენტები გამოვლინდნენ, რომელთაც კომპანიისგან ერთწლიანი სტიპენდია გადაეცემათ.

წელს არემჯის სასტიპენდიო კონკურსში საქართველოს

ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური, ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის, ენერგეტიკის, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის 80-მდე სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა.

სტიპენდიის მოსაპოვებლად ორეტაპიანი ინდივიდუალური გასაუბრება სტუდენტებმა კომპანიის მენეჯერებთან გაიარეს. შერჩევის პროცესში ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი სტუდენტების მაღალი აკადემიური მოსწრება იყო, თუმცა არემჯის სოციალური პასუხისმგებლობის პრიორიტეტების გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქვემო ქართლის რეგიონის სტუდენტების წახალისებასაც.

სამთო-გეოლოგიურ დარგში წარმატებული და მოტივირებული ახალგაზრდების მოზიდვის მიზნით, არემჯიმ ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ერთწლიანი სტიპენდია 2018 წლიდან დააწესა. თავდაპირველად პროექტი ორ სასწავლო ფაკულტეტს მოიცავდა, ამ დროისთვის კი კონკურსში მონაწილეობა ხუთი ფაკულტეტის სტუდენტებისთვისაა შესაძლებელი.

2017 წელს არემჯისა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორნდუმის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი წარმატებული პროექტი, რომელიც სტუდენტების განვითარებაზე და მათ მაღალკვალიფიციურ კადრებად ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული.

„არემჯი არის ერთ-ერთი გამორჩეული დამსაქმებელი ტექნიკური უნივერსიტეტისთვის და ჩვენი სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. ჩვენი თანამშრომლობა უკვე მეხუთე წელიწადია გრძელდება. ის, რომ ჩვენი სტუდენტები გადიან სტაჟირებას და წარმატებით საქმიანობენ ამ დიდ კორპორაციაში, აქვთ სწავლის, საქმიანობისა და შემდგომი პროფესიული განვითარების

შესაძლებლობა, კომპანიის დიდი დამსახურებაა. ჩვენს დღევანდელ ღონისძიებაზე კი ამ წლის 25 სტიპენდიატი გამოვავლინეთ.“ - დავით გურგენიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი.

სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე შერჩეულ,

მოტივირებულ და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებს ყოველწლიურად საშუალება აქვთ გახდნენ არემჯის საზაფხულო სკოლის მონაწილეები, რაც კომპანიის საწარმოებში ერთთვიანი ანაზღაურებადი პრაქტიკას ითვალისწინებს. ყოველწლიურად სტუ-ს დაწყებითი კურსის სტუდენტებს, არემჯი სასწავლო-საველე პრაქტიკებზე მასპინძლობს, სადაც ახალბედა სამთოელები ამიერკავკასიაში უმსხვილესი სამთო-მომპოვებელი კომპანიის წარმოების სრულ ციკლს ეცნობიან.

2019 წელს, სტუ-სთან ერთად კომპანიამ შეიმუშავა დუალური საგანმანათლებლო პროექტი ინდივიდუალური განვითარების გეგმა, რომელიც პროექტში ჩართული თითოეული მონაწილესთვის, მათი კომპეტენციების განვითარების ინდივიდუალური პროგრამების შედგენას ითვალისწინებს.

„საქმიანობის გარკვეულ ეტაპზე ნათელი გახდა, რომ ახალკურსდამთავრებულებისა და კომპანიის მოთხოვნებს შორის იყო გარკვეული წყვეტა. ჩავთვალეთ, რომ ახალ კადრებთან სამომავლო თანამშრომლობისთვის აუცილებელი იყო იმ სტუდენტების სათანადო მომზადება, რომლებიც სწავლობდნენ ტექნიკური უნივერსიტეტის ჩვენთვის შესაბამის სპეციალობებზე.

სწორედ აქედან დაიწყო პირველი თანამშრომლობა არემჯისა და ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის. პირველი ნაბიჯები გადაიდგა სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის მიმართულებით, რასაც შემდეგ მოყვა ენერგეტიკის, ეკოლოგიის, მანქანათმშენებლობის ფაკულტეტები და ა.შ. ამ წლების განმავლობაში უკვე ბევრი სტუდენტი იყო ჩვენი სტიპენდიატი და სასიამოვნოა, რომ დღეს ახალი ნაკადის მონაწილეებიც დავაჯილდოვეთ. იმედი მაქვს, მომავალში ბევრ მათგანს ვიხილავთ არემჯის წამყვანი სპეციალისტებისა და თანამშრომლების პოზიციებზე.“ - ჯონი შუბითიძე, არემჯის აღმასრულებელი დირექტორი.

ნინა გურჯიევა-პანიანი

კომპანია არემჯის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის საქმეთა მწარმოებელი

ნინა გურჯიევა - პანიანისთვის არემჯი ის ადგილია, სადაც საყვარელ საქმეს 50 წელია ემსახურება. როგორც თავად ამბობს სასიამოვნო გარემოში, იმ ადამიანებთან ერთად ვისთან ერთადაც წლებია მუშაობ საქმის კეთება მეტად მარტივი და საინტერესოა.

ნინამ სკოლის დამთავრებისთანავე სწავლა უკრაინის ქალაქ ხარკოვის ოფიცრის სახლის სასწავლებელში გააგრძელა და მბეჭდავის პროფესია წარჩინებით შეისწავლა. შრომისმოყვარეობით გამორჩეულმა ახალგაზრდამ, ხარკოვში ტრაქტორების წარმოების ქარხანაში კონტროლიორად დაიწყო მუშაობა. შემდეგ მალევე დაბრუნდა ბოლნისში და სამთო - გამამდიდრებელ კომბინატში საკადრო და სამშენებლო სამსახურის უფროსის თანაშემწის პოზიციაზე დაინიშნა. წლების განმავლობაში კომპანიაში სხვადასხვა პოზიციაზე მოუწია მუშაობა და გამოცდილებაც ბევრი დააგროვა. 2014 წლიდან დღემდე კი არემჯის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში საქმის მწარმოებელია.

„წლებმა ძალიან ბევრი რამ შეცვალა ჩემში და გამოცდილება შემძინა. ადრე ხელით შესასრულებელი სამუშაო დღეს თანამედროვე ტექნიკამ ჩაანაცვლა. ამ მიმართულებით მინდა ვთქვა, რომ მუშაობა არ გამქირვებია, ვინაიდან საბეჭდ მანქანას და კომპიუტერის კლავიატურას ერთნაირი განლაგება გააჩნია. შემოსავლის წყაროს გარდა, სამსახური არის ადგილი, სადაც მოსვლა მიხარია. 50 წლიანი სამუშაო გამოცდილება ცოტა არ არის და ამიტომ დასაფასებელია ხელმძღვანელობის ყურადღება ჩემს მიმართ. მათ დააფასეს ჩემი შრომა და „წლის სამთოელი 2022-ის“ ჯილდო გადმომცეს, ეს ძალიან სასიხარულო და სასიამოვნო ფაქტია“.

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი: მაგდა დევნოზაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი.

სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.